საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №39
2016 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5, 42-ე და 43-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში (სსმ III, 8.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას” მიერ გამანაწილებელი ქსელით ელექტროენერგიის გატარების ტარიფები:

ა)	220/380 ვოლტი	-	6.778	თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი	-	2.683	თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი	-	1.504	თეთრი/კვტსთ;“

2. დადგენილების 9^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას” ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

ა)	220/380 ვოლტი	-	6.778	თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი	-	2.683	თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი	-	1.504	თეთრი/კვტსთ;.“

3. დადგენილების 11^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11^1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები

1. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები ძაბვების მიხედვით:

ა)	220/380 ვოლტი (არასაყოფაცხოვრებო მომხმარებელი)	-	16.776 თეთრი/კვტსთ;
ბ)	3,3-6-10 კილოვოლტი	-	12.681 თეთრი/კვტსთ;
გ)	35-110 კილოვოლტი	-	11.502 თეთრი/კვტსთ.”

2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აბონენტებისათვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის შესასყიდი ზღვრული ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

ა)	101 კვტსთ-ის ჩათვლით	-	10.978 თეთრი/კვტსთ;
ბ)	101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით	-	14.348 თეთრი/კვტსთ;
გ)	301 კვტსთ-დან და მეტი	-	18.178 თეთრი/კვტსთ.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე — **ირინა მილორავა**
კომისიის წევრი — **გოჩა შონია**
კომისიის წევრი — **გიორგი ფანგანი**